



ალექსანდრე მაჭომეტოვი

2004 წლის 17 ივნისს გარდაიცვალა გამოჩენილი დაღესტნელი ენათმეცნიერი-კავკასიოლოგი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ალექსანდრე ამარის ძე მაჭომეტოვი**, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტს ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საქართველოში.

ა. მაჭომეტოვი დაიბადა 1917 წლის 12 ივნისს ოქრომჭედლების ცნობილ აულ კუბაჩიში (დაღესტანი), ხელოსნის ოჯახში. 1940 წელს დაამთავრა მაშინდელი საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი ლითონთა მექანიკური დამუშავების სპეციალობით. 1940-1944 წლებში მუშაობდა ვორონეჟისა და მოსკოვის საავიაციო ქარხნებში ინჟინერ-კონსტრუქტორის თანამდებობაზე, 1944 წლიდან კი გადმოყვანილ იქნა თბილისში სახელმწიფო მატერიალური რეზერვების საქართველოს სამმართველოში.

და, აი, აქ ცხოვრებამ იგი აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას შეახვედრა. ამ შეხვედრამ კიდევ გადაწყვიტა ალექსანდრე მაჭომეტოვის მომავალი: როგორც დარგული ენის (კუბაჩური დიალექტის) მცოდნე, იგი ჩაირიცხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენის ინსტიტუტის ასპირანტურაში კავკასიური ენების სპეციალობით, რომელიც დაამთავრა 1948 წელს და დაიცვა კიდევ საკანდიდატო დისერტაცია „დარგული ენის კუბაჩური დიალექტის ფონეტიკურ-მორფოლოგიური თავისებურებანი“. ერთ-ერთი ოფიციალური ოპონენტი აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი იყო. ამავე წლიდან გარდაცვალებამდე იგი წარმატებით და ნაყოფიერად მუშაობდა ენათმეცნიერების (ყოფილი ენის) ინსტიტუტში ჯერ უმცროს, შემდეგ კი უფროს და წამყვან მეცნიერ

მუშაკად. 1965 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია „თაბასარანული ენა“.

ალექსანდრე მაჰომეტოვი ავტორია 150-ზე მეტი ნაშრომისა, მათ შორის ოთხი ფუნდამენტური მონოგრაფიისა, რომლებშიც რამდენიმე დაღესტნური ენის სრული აღწერითი ანალიზია მოცემული (ისტორიზმის ელემენტით): „კუბაჩური ენა“ (1963), „თაბასარანული ენა“ (1965), „აღლული ენა“ (1970) და „დარგული ენის მეკებური დიალექტი“ (1982). ყველა ეს ნაშრომი დიდად ფასეული შენაძენია იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერებისა. მისი ცალკეული გამოკვლევები კი მოიცავს დაღესტნურ ენათა გრამატიკის ყველა უბანს — ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკისა და დიალექტოლოგიის სინქრონიული (აღწერითი) თუ დიაქრონიული (ისტორიული), ტიპოლოგიური შესწავლის საკვანძო და კერძო საკითხებს, ამ ენათა კონტაქტებს მეზობელ არამონათესავე ენებთან. ამ შრომებმა ალექსანდრე მაჰომეტოვს დიდი ავტორიტეტი და მეცნიერული აღიარება მოუტანეს, როგორც მკვლევარსა და ენათმეცნიერ-კავკასიოლოგს როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში. იგი სისტემატურად მონაწილეობდა სხვადასხვა სახის კავკასიოლოგიურ შეხვედრებში, სამეცნიერო სესიებსა და კონფერენციებში, სიმპოზიუმებში, რომლებიც ტარდებოდა საქართველოში, ჩრდილო კავკასიაში, რუსეთსა და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებში; მონაწილე იყო ევროპის კავკასიოლოგთა საზოგადოების მიერ ჩატარებული კოლოკვიუმებისა პარიზში (1988), ლონდონში (1990), მარბურგში (1994). იგი ორჯონის იყო მომხსენებელი და თანათავმჯდომარე ბონის უნივერსიტეტის მიერ მოწყობილი კონფერენციებისა — „კავკასიური ენათმეცნიერების პრობლემები“ (1988, 1992). იგი მონაწილეობდა, აგრეთვე, ლუნდის უნივერსიტეტში (შვედეთი) მოწყობილ შეხვედრაში „საქართველოს დღეები“ და სხვ.

მნიშვნელოვანია მეცნიერის ღვაწლი მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორიის საქმეში. უპირველესად, უნდა ითქვას იმ დიდი და ფრიად შრომატევადი სამუშაოს შესახებ, რომელიც მან გასწია XIX საუკუნის გამოჩენილი რუსი კავკასიოლოგის პ. უსლარის დაუმთავრებელი შრომის — „კავკასიის ეთნოგრაფია. ენათმეცნიერება. VII. თაბასარანული ენა“ — აღმოჩენის, ენობრივი მასალის ადგილზე შემოწმების, ნაშრომის სასტამბოდ მომზადებისა და გამოცემისათვის. ეს 1070-გვერდიანი შრომა დაიბეჭდა 1979 წელს გამომცემლობა „მეცნიერების“ გრიფით. პ. უსლარისავე მეცნიერულ ღვაწლს ეძღვნება მისი მონოგრაფიული ნაშრომი „პ. უსლარი — კავკასიური ენების მკვლევარი“ (მაჰაჩყალა, 1979). მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ამ ენათა შესწავლის ისტორიისადმი მიძღვნილი ალექსანდრე მაჰომეტოვის ცალკეული წერილები.

ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად იგი დიდ და სასარგებლო საქმიანობას ეწეოდა, როგორც იბერიულ-კავკასიური ენების სისტემისა და ისტორიის შესწავლისადმი მიძღვნილ რეგიონალური სამეცნიერო სესიების კომიტეტის მუდმივი საორგანიზაციო მდივანი. ეს სესიები, 1965 წლიდან დაწყებული, ორ წელიწადში ერთხელ სისტემატურად ტარდებოდა კავკასიის სხვადასხვა ქალაქში — თბილისში, სოხუმში, ნალჩიკში, მაიკოპში, ჩერკესკში, კარაჩევსკში, ვლადიკავკაზსა და მაჰაჩყალაში. ჩატარდა 13 ასეთი სესია. ამავე დროს ა. მაჰომეტოვი იყო თბილისში 1974 წლიდან გამომავალი საერთაშორისო ჟურნალის „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადულის“ რედ-

კოლეგიის წევრი და, დღიდან დაარსებისა, წლების მანძილზე — ამ ჟურნალის სწავლული მდივანი და შემდეგ — მთავარი რედაქტორის მოადგილე. იგი კარგი პედაგოგიც იყო. 1951-52 წლებში კითხულობდა ლექციებს თბილისის ალექსანდრე პუშკინის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში, ხოლო 1951-53 წლებში — ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1968 წლიდან კი, როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ასწავლიდა ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილების ქართულ და რუსულ ჯგუფებს. აქტიურად მონაწილეობდა ახალგაზრდა ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა მომზადების საქმეში, სისტემურად უწევდა კონსულტაციებს დაღესტნური ენებით დაინტერესებულ პირებს საკვალიფიკაციო ნაშრომებისა და ცალკეული გამოკვლევების დამუშავების დროს, ხელმძღვანელობდა ასპირანტების მუშაობას, როგორც ენათმეცნიერების ინსტიტუტში, ისე უნივერსიტეტში. მისი ხელმძღვანელობით რამდენიმე პირმა წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. ხშირად იყო ხოლმე ოფიციალური ოპონენტი როგორც საკანდიდატო, ისე სადოქტორო დისერტაციებისა ჩვენში თუ რუსეთში. მას კონსულტაციებისთვის ზშირად მიმართავდნენ უცხოელი კოლეგები. სტოკჰოლმის ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტის თხოვნით მუშაობდა ბიბლიის თარგმანზე დარგუთელი ენის კუბაჩურ დიალექტზე.

მიუხედავად იმისა, რომ ა. მაჰომეტოვი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საქართველოში, იგი აქტიურად მონაწილეობდა აგრეთვე მშობლიური დაღესტნის სამეცნიერო-საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში, არჩეული იყო დაღესტნის ეროვნული აკადემიის აკადემიკოსად.

ა. მაჰომეტოვი ერთგვარი დამაკავშირებელი ხიდი იყო ქართველ და დაღესტნელ მეცნიერთა შორის, იგი ხელს უწყობდა მათ მეცნიერულ ურთიერთობებს, კავშირებს, რასაც დღეს განსაკუთრებული ღირებულება ენიჭება, ამიტომ სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ იგი იყო მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე როგორც საქართველოსი, ისე დაღესტნის რესპუბლიკებისა. დაჯილდოებული იყო ივ. ჯავახიშვილის მედლით.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილება

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი